

შპს „ჯამური“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოში ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექციაში. 14.12.2010წ, ს/ნ 404881678 კომპანიის იურიდიული საქართველო, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში, მარშალ გელოვანის გამზ., № 2, სარდაფი, კომპანიის 100%- იანი წილის მფლობელია ზურაბ მილაძე, საქართველოს მოქალაქე, რომელიც აგრეთვე არის კომპანიის მოქმედი დირექტორი 3/524001001515. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა ავტომანქანის სამალიარო საშუალებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

2.1. ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/ საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და საქონელზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.2. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.3. მოგების გადასახადი აღრიცხვა, ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან, რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან, ვიდრე არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების ან სხვა ფორმით.

მოგების გადასახადი გაიანგარიშება მუდმივი სხვაობით კორექტირებული სააღრიცხვო მოგებიდან და აისახება საგადასახადო ხარჯის სახით. სააღრიცხვო მოგების გადასახადსა და საგადასახადო მოგებას შორის სხვაობა,

რომელიც განპირობებულია საადრიცხო ღირებულებასა და საგადასახადო ბაზებს შორის დროებითი სხვაობებით, აღირიცხება გადავადებული საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით.

2.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

2.5. არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

2.6. აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.7. იჯარა

საანგარიშო პერიოდში საიჯარო ურთიერთობები არ ფიქსირდება. იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტურისა უპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.10. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.11. ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საბანკო სესხები საწარმოს არ უფიქსირდება.

2.12. პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები 2.12.1 ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ;

2.12.2. შრომის ანაზღაურება წარმოებს შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დამტკიცებული საშტატო განაკვეთის შესაბამისად;

2.12.3. შვებულების დღეთა რაოდენობა განისაზღვრება 24 სამუშაო დღით, ხოლო საშუალო დღიური ხელფასი -30 კალენდარული დღის გათვალისწინებით.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 3		
ფული და ფულის ექვივალენტები		
	31.12.2020	31.12.2019
ნაღდი ფული სალაროში	389250	373654
ფული საბანკო ანგარიშებზე	241329	566741
სულ ჯამი	630579	940395

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარიცხოვანი, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკი სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს არის სანდო და ცნობილი საკრედიტო დაწესებულება.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ექვივალენტები 2020 და 2019 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 4		
სავაჭრო მოთხოვნები	31.12.2020	31.12.2019
მოთხოვნები მოწოდებებიდან და მომსახურებიდან	1245783	1023410
სულ ჯამი	1245783	1023410

5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

გადახდილი ავანსები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 5		
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		
	31.12.2020	31.12.2019
მოწოდებლებზე გადახდილი ავანსები	99867.02	359339
წინასწარ გაწეული ხარჯები	301,069	380128
გადახდილი დღგ	200462	117240
სულ ჯამი	601398	856707

6. მარაგები

მარაგების ნაშთები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 6		
მარაგები		
	31.12.2020	31.12.2019
სასაძონლო--მატერიალური მარაგი	4937390	3610756
სულ ჯამი	4937390	3610756

7. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 7		
- სხვა ვალდებულებები	31.12.2020	31.12.2019
გადახდილი დღგ	-200462	-117240
სულ ჯამი	-200462	-117240

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 8		
სხვა არამატერიალური აქტივები	31.12.2020	31.12.2019
არამატერიალური აქტივები	7211	3595
სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	-1595	-1135
სულ ჯამი	5616	3595

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 9					
ძირითადი საშუალებები	31.12.2019	2020	2020	2020	31.12.2020
		დარიცხული ვვეთა	დამატებული ძირ.საშ	გასული ძირ.საშ	ძირ.საშ.საბალანსო ღირებულება
არასასოფლო მიწა	899208	0	0	0	899208
შენიშვნა 9	486465	31275		0	455190.12
ნაგებობები	75013	6056			68957.12
მანქანა-დანადგარები	22593	1846			20746.6
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	13112	379			12733.12
ავიაცი, ინვენტარი, იარაღები	14023	4676	218	99	9466.29
სატრანსპორტო საშუალებები	214874	29601			185272.75
სულ ჯამი	1725288	73833	218	98.87	1651574

10. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 10		
სავაჭრო ვალდებულებები	31.12.2020	31.12.2019
რეზიდენტი მომ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	71407	1,550,205
არარეზიდენტი მომმ. და მომს. წარმოქმნილი ვალდებულებები	391,089	
მიღებული ავანსები	0	0
სულ ჯამი	462,496	1,550,205

11. ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები .

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები 31.12.2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3537304 ლარი აღრიცხულია როგორც გასანაწილებელი მოგება. 2019 წელს დაემატა 2018-2019 წლის გასანაწილებელი მოგება. ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 11		
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	31.12.2020	31.12.2019
გადასახდელი პროცენტები	0.00	495.00
გადასახდელი დივიდენდები	6394183	6394183
ვალდებულება კაპიტალის შემცირებაზე	0	0
სულ ჯამი	6394183	6394678

12. სხვა ვალდებულებები.

სხვა ვალდებულებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 12		
სხვა ვალდებულებები	31.12.2020	31.12.2019
გადავადებული მოგების გადასახადი	31,652	37,182
სულ ჯამი	31,652	37182

13. კაპიტალი

კომპანიამ ფუნქციონირება დაიწყო 2010 წლის 14 დეკემბერს, საწესდებო კაპიტალით 865000 (რვაას სამოცდახუთი ათასი) ლარი, ხოლო 2012 წლის თებერვლის თვის გადაწყვეტილებით განისაზღვრა შემცირება 170000 (ას სამოცდაათ ათასი) ლარამდე.

კომპანიის კაპიტალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 13		
შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი'		
	31.12.2020	31.12.2019
სანდესდებო კაპიტალი შპს-ში	170,000	170,000
სულ ჯამი	170000	170000

14. გაუნაწილებელი მოგება / ზარალი

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 14		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		
	31.12.2020	31.12.2019
მოგება/ ზარალი		1014770
გაუნაწილებელი მოგება		-2905035
დაუფარავი ზარალი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	2,011,811	1890265
სულ ჯამი	2011811	0

15. სხვა რეზერვები და დაფინანსება

სხვა რეზერვები და დაფინანსება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 15		
სხვა რეზერვები და დაფინანსება		
	31.12.2020	31.12.2019
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	2200	2200
სულ ჯამი	2200	2200

16. საოპერაციო შემოსავლები

საოპერაციო შემოსავლები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 16		
საოპერაციო შემოსავლები		
	31.12.2020	31.12.2019
შემოსავლები საძონდოს რეალიზაციიდან	12749247	15110174
სულ ჯამი	12749247	15110174

17. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 17		
დასაქმებულთა ანაზღაურება		
	31.12.2020	31.12.2019
შრომის ანაზღაურება	250043.65	269410
სულ ჯამი	250044	269410

18. ცვეთა-ამორტიზაცია

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 18		
ცვუთა და ამორტიზაცია		
	31.12.2019	31.12.2019
ცვუთა და ამორტიზაცია	74251	67850
სულ ჯამი	74251	67850

19. საპროცენტი ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 19		
	31.12.2020	31.12.2018
საპროცენტო ხარჯები	2309	16722
სულ ჯამი	2309	16722

20 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 20		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	31.12.2020	31.12.2019
რეალიზ. პროდ. თვითღ. (პრ. მწ. და მომს. სფ. სან.	10229958	12,777,893
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	45282	58842
კომუნალური ხარჯი	10867	8770
საოფისო ხარჯი	5272	4622
კომუნიკაციის ხარჯი	1375	1921
სამიწვლინაო ხარჯი	14340	14359
განაკის მომსახურების ხარჯები	6805	10791
სხვა საგადასახადო ხარჯი	18742	13023
ძირითადი საშ. მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	15066	8689
საქონლუტაციო ხარჯები	828	1421
სხვა საერთო ხარჯი	3000	1316
წარმოადგენლობითი ხარჯი		2224
გაყიდული საშ. დაბრუნება და ფასდათმობა	22111	27205
სულ ჯამი	10373644	12931076

21. წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციიდან

წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 21			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:			
	31.12.2020	31.12.2019	
დადებითი საკუროს სხვაობა	219520	90858	
უარყოფითი საკუროს სხვაობა	-398886	-82084	
სულ ჯამი	-179366	8774	

22. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შენიშვნა 22			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
		31-12-20	31.12.2019
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	0	158587	
შემოსავალი ძირითადი საშ.	0	760	
სხვა გამომწვევითავე ხარჯი	0	-17169	43442
სულ ჯამი	0	142178	43442

23 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არსებითი სახიათის მოვლენები და გარემოებები ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ პერიოდში არ ფიქსირდება

29. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა 2021 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი: ზურაბ მილაძე



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

		საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2018
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	630,579	940,395	241,503
სავაჭრო მოთხოვნები	6	1,245,783	1,023,410	390,365
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	7	99,867	359,339	693,373
მარაგები	8	4,937,390	3,610,756	3,054,423
- მზა პროდუქცია		-	-	-
- სხვა		4,937,390	3,610,756	3,054,423
საინვესტიციო ქონება		-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	9	501,532	497,368	139,666
ბიოლოგიური აქტივები		-	-	-
- თვითღირებულების მოდელით		-	-	-
- გადაფასების მოდელით		-	-	-
გუდვილი		-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	10	5,616	2,460	3,737
ძირითადი საშუალებები	11	1,651,575	1,725,288	812,000
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-	-
სულ აქტივები		9,072,342	8,159,016	5,335,067

ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	12	462,496	1,550,205	2,539
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		6,394,183	6,399,429	3,537,304

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	13	-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	14	-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	15	-	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	-
მიღებული გრანტები		-	-	-
სხვა ვალდებულებები		31,652	37,182	48,254
სულ ვალდებულებები		6,888,331	7,986,816	3,588,097

საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (ძველ-ს თვითხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში	16	170,000	170,000	170,000
საემისიო შემოსავალი		-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	17	2,011,811	-	1,574,770
გადაფასების რეზერვი		2,200	2,200	2,200
სხვა რეზერვები	18	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		2,184,011	172,200	1,746,970
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		9,072,342	8,159,016	5,335,067

დირექტორი ზურაბ მილაძე



ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

		საანგარიშგებო პერიოდი 2020	წინა საანგარიშგებ ო პერიოდი 2019
ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან		12,749,247	15,110,174
მომსახურების გაწევიდან	19	12,749,247	15,110,174
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			-

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
საწყისი მარაგები		(10,229,958)	(12,777,893)
მარაგების შესყიდვა		3,610,756	3,054,423
გადამუშავების დანახარჯები		(11,556,592)	(13,380,140)
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება		4,937,390	3,610,756
		2,519,289	2,332,281

სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	20	159,347	83,590
ცვეთა და ამორტიზაცია	21	(250,044)	(269,410)
საპროცენტო შემოსავალი:	22	(74,251)	(67,850)
საპროცენტო ხარჯი :			-
იჯარის ხარჯი	23	(2,309)	(495)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	24	-	-
	25	(160,857)	(153,183)
სულ საოპერაციო ხარჯები		(328,113)	(407,348)
საოპერაციო მოგება		2,191,177	1,924,933

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები		-	-
სხვა არაფინანსური აქტივები		-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		-	-
მიღებული დივიდენდები		(179,366)	8,774
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	26	-	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		-	(43,442)
ოპერაციებიდან	27	2,011,811	1,890,265
მოგების გადასახადი			-
მოგება/(ზარალი)		2011811	1890265

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)			
გადაფასების რეზერვი			-
სხვა			-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			-
ძირითადი სრული შემოსავალი / (ზარალი)		-	1,890,265

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		172,200	1,746,970
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-	(560,000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			(2,905,035)
კაპიტალის სხვა ცვლილებები			-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2,184,011	172,200

დირექტორი ზურაბ მილაძე

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი 2020	საანგარიშგებ ო პერიოდი 2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(295,847)	695,041
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-	695,041
სავალუტო კურსის ეფექტი	(13,969)	3,851
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	940,395	241,503
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	630,579	940,395

დირექტორი ზურაბ მილაძე



ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

		საანგარიშგებო პერიოდი 2020	საანგარიშგებო პერიოდი 2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(295,847)	695,041
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		-	-
სავალუტო კურსის ეფექტი		-	695,041
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		(13,969)	3,851
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		940,395	241,503
		630,579	940,395

დირექტორი ზურაბ მილაძე

